ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №869532

ნომერი: AR1156344

თარიღი : 20.08.2013

გაცემის თარიღი : 27.08.2013

გაცნობის თარიღი : 28.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, , მაუდ-კამვოლის კომბინატ "საქართველო"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დემურ ცხოვრებაძე პ/ნ 01024020477
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 67

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. თეთრი სახლი კოდი: 202198068

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის ვიზუალური გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, არქიტექტურის სამსახური ვერ დაეთანხმება თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით, ღიობების თავზე მოსაწყობი სარეკლამო აბრის განთავსებას, იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრაზე განთავსებული წარწერების რაოდენობის შემცირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა შემუშავებული იქნას ახალი ალტერნატიული ვარიანტის ფოტომონტაჟი მასალისა და გაბარიტული ზომების მითითებით და აიტვირთოს "ფოტომონტაჟის" ველში.

დამატებით გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა „მოთხოვნის შინაარსი“–ს გრაფაში დაფიქსირდეს ინფორმაცია იმის თაობაზე თუ საკადასტრო გეგმის ნუმერაციის მიხედვით რომელ შენობაზე ხორციელდება სარეკლამო აბრის მოწყობა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.